მალხაზ მაცაბერიძე •

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი: იდეოლოგიური კონტექსტი •

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის იდეოლოგიური საფუძველი. დამოუკიდებლობის აქტი იყო პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც არა მხოლოდ აცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას, არამედ აყალიბებდა მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითად პრინციპებს. ეს საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის იდეოლოგიურ კონტექსტზე. დამოუკიდებლობის აქტის შემუშავება ორი პოლიტიკური ძალის ხელში აღმოჩნდა - სოციალ-დემოკრატების და ეროვნულ-დემოკრატების. ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგია ლიბერალური ნაციონალიზმის სახეობა იყო. დამოუკიდებლობის აქტი იმდროინდელი პოლიტიკური ძალების კონსენსუსს ემყარებოდა, რასაც აადვილებდა ის გარემოება, რომ სოციალ-დემოკრატები და ეროვნულ-დემოკრატები თანხმდებოდნენ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის თაობაზე. ეს მისაღები იყო საქართველოს ეროვნულ საბჭოში წარმოდგენილი სხვა სოციალისტური პარტიებისთვისაც (სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები). ეროვნულ-დემოკრატებისთვის დამოუკიდებელი დე-

---

• პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

• ნაშრომი მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის - „თანამედროვე ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან: საქართველოს ეროვნული საბჭო-საქართველოს პარლამენტი“ ფარგლებში. გრანტის კოდი: FR-23-2950.

მოკრატიული სახელმწიფოს აშენება საბოლოო მიზანი იყო, სოციალისტური პარტიები კი სამომავლოდ „სოციალიზმის მშენებლობაზე“ გადასვლას გეგმავდნენ. ეროვნული საბჭოს აღმსრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ, რომელიც ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერიც იყო, დამოუკიდებლობის აქტის პროექტიდან ამოიღო ე. წ. „სოციალური“ (სოციალისტური) დებულებები და დატოვა მხოლოდ „საერთო ეროვნული“, თუმცა დამოუკიდებლობის აქტში ჩამოყალიბებულ რიგ კონსტიტუციურ პრინციპებს ემჩნევა სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის გავლენა. მთლიანობაში, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ლიბერალური ნაციონალიზმის და სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის ნაზავს წარმოადგენდა.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი, საქართველოს პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური იდეოლოგიები.

შესავალი

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის შემუშავებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ნოე ჟორდანიამ, დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერთა დიდი ნაწილი კი სოციალ-დემოკრატი იყო. თუმცა, დამოუკიდებლობის აქტის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს იდეოლოგიური კონტექსტის თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, ის წარმოგვიდგება როგორც ამ ორი პარტიის იდეოლოგიის თავისებური ნაზავი. ისიც უნდა ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატებსა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის არსებობდა გარკვეული თანხვედრა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის თაობაზე. ეროვნულ დემოკრატებისთვის დემოკრატიული რესპუბლიკა იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საბოლოო ფორმა. მათგან განსხვავებით სოცი-

ალ-დემოკრატები და სხვა სოციალისტური პარტიები, თავიანთი იდეოლოგიური ხედვებიდან გამომდინარე, არ კმაყოფილდებოდნენ „მაქსიმალური დემოკრატიით“ და სამომავლოდ სოციალიზმის აშენებას გეგმავდნენ. სოციალ-დემოკრატებმა სცადეს თავიანთი „სოციალური“ („სოციალისტური“) მოთხოვნების ნაწილი დამოუკიდებლობის აქტშიც შეეტანათ, მაგრამ ამაზე უარი თქვა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ.

მთლიანობაში საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, სახელმწიფოებრივი მშენებლობის ფუნდამენტური დოკუმენტი, იდეოლოგიურად ეფუძნება ლიბერალური ნაციონალიზმის პრინციპებს, რაც ნაციონალიზმის და დემოკრატიის შერწყმას გულისხმობს.

ლიბერალური ნაციონალიზმი

ეროვნული თავისუფლების ხელახალი მოპოვება, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა, როგორც წესი, ნაციონალიზმის საფუძველზე ხდება. საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ლიბერალური ნაციონალიზმის კლასიკური მაგალითი, განსაკუთრებით იმ დროის კონტექსტში. ეროვნული თვითგამორკვევა განხორციელდა ინდივიდუალური თავისუფლების, დემოკრატიის და სამოქალაქო თანასწორობის ფართო პლატფორმით.

ლიბერალური ნაციონალიზმი არის იდეოლოგია, რომელიც აერთიანებს ნაციონალიზმის (ერი, როგორც ლეგიტიმური პოლიტიკური ერთეული) და ლიბერალიზმის (ინდივიდუალური უფლებები, თავისუფლება, დემოკრატია) პრინციპებს.

ლიბერალური ნაციონალიზმის ძირითადი პრინციპებია:

ა/ სამოქალაქო (და არა ეთნიკური) ერი - ერი განისაზღვრება როგორც მოქალაქეთა ერთობა, რომლებიც იზიარებენ საერთო ინსტიტუტებს, კანონებსა და პოლიტიკურ ფასეულობებს;

ბ/ დემოკრატიული პრინციპები - ეროვნული თვითგამორკვევა უნდა განხორციელდეს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში;

გ/ ინდივიდუალური და უმცირესობათა უფლებების დაცვა.

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი მკაფიოდ გამოხატავს ლიბერალური ნაციონალიზმის პრინციპებს:

ლიბერალურ-ნაციონალისტური პრინციპი	ასახვა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში
სუვერენიტეტი და ეროვნული სახელმწიფო	საქართველო „სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა" (ნაციონალიზმი). დამოუკიდებლობის აქტის მთავარი მიზანი იყო ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა (ნაციონალიზმი), მაგრამ ეს განხორციელდა ლიბერალური, რესპუბლიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით (ლიბერალური ნაციონალიზმი).
დემოკრატიული რესპუბლიკა	„დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმაა - დემოკრატიული რესპუბლიკა" (ლიბერალიზმი/დემოკრატია).
სამოქალაქო უფლებები და თანასწორობა	„თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა" (ლიბერალიზმის ქვაკუთხედი). სქესთა თანასწორობის პრინციპის დეკლარირებით საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი იმ დროისათვის ევროპულ დემოკრატიებსაც უსწრებდა წინ.
უმცირესობათა	„განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხს-

უფლებები	ნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს“ (ლიბერალური ნაციონალიზმი). ეს შემდგომ-ში, დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე შემუშავებულ 1921 წლის კონსტიტუციაში კულტურული ავტონომიის კანონმდებლობის შემუშავებაში აისახა.
ნეიტრალიტეტი	საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუ-დმივი ნეიტრალური სახელმწიფოა (ლიბერა-ლური საგარეო პოლიტიკის გამოხატულება).

ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგია - ლიბერალური ნაციონალიზმის სახეობა

იმდროინდელ საქართველოში ლიბერალური ნაციონალიზ-მის იდეოლოგიის მატარებელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იყო. ეროვნული დემოკრატია არის პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ნაციონალიზმს უთავსებს ლიბერალურ-დემოკრატიულ იდეოლოგიას. სახელწიფო მოწყობის დემოკრატიული პრინციპები უკავშირდება ნაციონალიზმს პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბებას საქარ-თველოში თავისი ისტორია ჰქონდა. ჯერ კიდევ 1906 წელს სცადეს ამ პარტიის შექმნა, რაშიც აქტიურად მონაწილეობდა ილია ჭავ-ჭავაძე. ფუძნდებოდა საზოგადოება, რომელსაც ერქვა „საქართვე-ლოს დემოკრატია“, თუმცა ამ ორგანიზაციის შექმნა ვერ მოხერხდა. ამაში თავისი როლი ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ შეასრულა. სა-ბოლოოდ, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მხო-ლოდ 1917 წლის მარტში, რუსეთში მომხდარი თებერვლის რევო-ლუციის შემდეგ შეიქმნა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-ლიკის პერიოდში მას რამდენიმე ჯგუფი გამოეყო და ცალკე პარტი-ებად გაფორმდა. 1921 წლის იანვარში საქართველოში არსებული

ყველა არა-სოციალისტური პარტია გაერთიანდა საქართველოს დემოკრატიულ პარტიად. ემზადებოდნენ საპარლამენტო არჩევნებისათვის, რომელიც კონსტიტუციის მიღების შემდეგ, 1921 წლის შემოდგომაზე უნდა ჩატარებულიყო. საბჭოთა ოკუპაციამ ეს გეგმა ჩაშალა.

სერგი დანელია (1888-1963), ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და იდეოლოგი, ამ პარტიის იდეურ წინამორბედებად მიიჩნევდა 1870-იანი წლების საქართველოს მოწინავე ინტელიგენციას. მისი თქმით, ამ ინტელიგენციის წარმომადგენლებიდან ეროვნულ-დემოკრატებთან ყველაზე ახლოს იდგნენ ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე. „როგორც უკანასკნელმა, ისე განსაკუთრებით პირველმა ბევრი გააკეთეს ჩვენი იდეოლოგიის საფუძვლების დასამყარებლად“, - აღნიშნავდა სერგი დანელია. „მთავარი პრინციპები ჩვენი შეხედულებებისა მრავალ კარდინალური ხასიათის საკითხებზე ჩვენ შეგვიძლია ამოვიკითხოთ ილია ჭავჭავაძის და ნიკო ნიკოლაძის ნაწერებში“.[1]

სერგი დანელია აღნიშნავდა, რომ სახელწოდება „ეროვნულ-დემოკრატიული“ ეტიმოლოგიურად ერთგვარი ტავტოლოგიაა, რადგანაც სიტყვა „ეროვნული“ და სიტყვა „დემოკრატიული“ ფარავენ ერთი-მეორეს. მაგრამ, მისი თქმით, მარტო ეტიმოლოგიით არ ამოიწურება ამ ტერმინის ანალიზი. ამ ტერმინში ორი იდეაა გაერთიანებული: ეროვნული ან ნაციონალური დემოკრატია ეწინააღმდეგება როგორც არა დემოკრატიულ ეროვნულ პარტიებს, ისე დემოკრატიულს, მაგრამ არა ეროვნულ პარტიებს. ეროვნული დემოკრატია ერთის მხრივ იბრძვის რეაქციონერების წინააღმდეგ. მეორე მხრივ კი უკიდურეს უტოპისტების (სოციალისტების)

[1] სერგი დანელია. ტერმინი „ეროვნული დემოკრატია“ - საქართველო“, 1921 წლის 27 იანვარი, N 19, გვ.2

წინააღმდეგ. რეაქციონერებს ის უპირისპირებს დემოკრატიზმს, უტოპისტებს კი ის უპირისპირებს ეროვნულ იდეას[2].

ი. ხახანაშვილი აღნიშნავდა, რომ ეროვნული დემოკრატია ქართველი ხალხის ეროვნულ იდეოლოგიას წარმოადგენდა. მისი თქმით, სამმა დიდმა ფაქტორმა შეჰქმნა და წარმოშვა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია: პირველი და უმთავრესი - ეს იყო მისწრაფება ქართველ ერისა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობისადმი და ერის ყველა სასიცოცხლო ელემენტების გაერთიანებისადმი; მეორე იყო მეტად თვალსაჩინო მიდრეკილება დემოკრატიულ წყობილებისადმი; მესამე - დაუმალავი და მეტად მტკიცე სურვილი სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობის კერძო საკუთრების პრინციპზე აგებისა.[3]

ი. ხახანაშვილი აღნიშნავდა, რომ „ეს სამი დედა-ბოძი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არსებისა იმდენად ღრმა-ფესვიანი აღმოჩნდნენ საქართველოს ნიადაგზე, რომ ეროვნულ დემოკრატიული იდეოლოგია თამამად შეიძლება ქართველ ერის იდეოლოგიად მივიჩნიოთ“.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თავის იდეოლოგიად ეროვნულ-დემოკრატიას აცხადებდა, ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგია კი შეიძლება მივიჩნიოთ ლიბერალური ნაციონალიზმის ერთ-ერთ ფორმად. ეროვნული დემოკრატია ეროვნულ პრიორიტეტს აერთიანებდა დემოკრატიულ, რესპუბლიკურ და ლიბერალური უფლებების დამცველ წყობასთან.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ სპექტრში წარმოადგენდა იმ მიმდინარეობას, რომელიც ხელისუფლებაში მყოფ ქართველ სო-

[2] სერგი დანელია. ტერმინი „ეროვნული დემოკრატია“ - საქართველო“, 1921 წლის 27 იანვარი, N 19, გვ.2

[3] ი. ხახანაშვილი. ჩვენი იდეოლოგიისთვის - „საქართველო, 15 აპრილი 1919,N 83

ციალ-დემოკრატებს პრინციპულად უპირისპირდებოდა, თუმცა სახელმწიფოებრიობის აღდგენის ძირითად პრინციპებში მათი თანხვედრა მოხდა. ამის მიზეზი ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერის ნოე ჟორდანიას პოზიცია იყო.

ლიბერალური ნაციონალიზმისა და სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის თანაფარდობა

1918 წლის 26 მაისის აქტში, ტექსტუალურ და იდეოლოგიურ დონეზე, დომინირებს ლიბერალური ნაციონალიზმი. ნოე ჟორდანიამ, როგორც სოციალ-დემოკრატმა ამ შემთხვევაში იმოქმედა პრაგმატული სახელმწიფოებრივი ძალის სახით, რომელიც საკუთარ იდეოლოგიურ პრიორიტეტებს „ჩრდილავდა“ მთავარი ამოცანის - დამოუკიდებელი, ლეგიტიმური და ერთიანი სახელმწიფოს შექმნის სასარგებლოდ. მიუხედავად მმართველი პარტიის სოციალისტური ორიენტაციისა, დამოუკიდებლობის აქტი, ფართო პოლიტიკური კონსენსუსის შედეგად, ამკვიდრებდა კლასიკურ დემოკრატიულ და ლიბერალურ ღირებულებებს, რაც თანამედროვე სახელმწიფოს ქვაკუთხედია.

ნოე ჟორდანია თავის მოგონებებში წერდა, რომ გიორგი გვაზავას მიერ წარდგენილ დამოუკიდებლობის აქტში გარდა საერთოეროვნული მუხლებისა იყო სოციალისტური დებულებები (8-საათიანი სამუშაო დღე, მიწის რეფორმა). ნოე ჟორდანიამ დამოუკიდებლობის აქტიდან ამოიღო სოციალური (სოციალისტური) დებულებები და დატოვა მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური საკითხები: „საჭირო იყო დამოუკიდებლობის აქტის შედგენა და მიღება საბჭოში. გამოვყავით კომისია ჩემთან ერთად სამუშაოთ ამ საკითხში. მე ვსთხოვე კომისიის წევრს გ. გვაზავას შეედგინა პროექტი, როგორც იურისტს და მოეტანა ჩემთვის. მან შეადგინა, წავიკითხე, გავოცდი. სწორ, ნაციონალურ დებულებათა გვერდით იყო წამოყენებული სოციალური რეფორმების დებულებანი: რვა საათის სამუშაო დღე, მამულების კონფისკაცია და სხ. ასეთი მუხლები

ჩავთვალე უადგილოთ; საჭირო იყო ერთი, ყველა ქართველისათვის მისაღები ნაციონალური პლატფორმა, საიდანაც უნდა გამოირიცხოს ყველა გამთიშველი ელემენტები. ამ აზრის თანახმად შევასწორე პროექტი, ამოვაგდე იქიდან ყველა კლასიური ხასიათის მუხლები, დავტოვე შესწორებით მხოლოდ ნაციონალურ-პოლიტიკური ხასიათის. ასე შესწორებული წაუკითხე კომისიას. გიორგის ხმა არ ამოუღია, მასზე დავინახე განცვიფრების და კმაყოფილების ბეჭედი. ალბათ ფიქრობდა - ეს საციმბირო რევოლიუციონერი ჩემზე უფრო ზომიერი აღმოჩნდაო. არ გაემტყუნება, რას გვიცნობდა. ამნაირათ დეკლარაცია შემუშავდა, რაიცა მე წავიკითხე 26 მაისს და გადაიქცა ჩვენი თავისუფლების ძირითად ხარტიათ“.[4]

გიორგი გვაზავა ასევე მოკლედ იგონებს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავების ისტორიას და მისი მონათხრობი ავსებს ნოე ჟორდანიას ნათქვამს. გ. გვაზავა ასახელებს კონკრეტულ თარიღს (24 მაისს) და აღნიშნავს, რომ ნოე ჟორდანიას წარუდგინეს დამოუკიდებლობის აქტის ორი პროექტი. ჟორდანიამ დაიწუნა სოციალ-დემოკრატი რ. არსენიძის წარდგენილი პროექტი და მოიწონა ეროვნულ-დემოკრატ გ. გვაზავას პროექტი: „24 მაისს 1918 წელს, სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში, მოხდა ინტერპარტიული სხდომა ბ. ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით. საკითხი იდგა ამ დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე. წარმოდგენილი იყო ორი პროექტი დეკლარაციისა: ერთი - სოციალ-დემოკრატიული, ბ. არსენიძის მიერ, მეორე - წარვადგინე მე, ჩვენი პარტიის სახელით. ბ. ჟორდანიას არ მოეწონა პირველი, მაგრამ მიიღო მეორე. რასაკვირველია, აქ უმთავრესი დამსახურება მიუძღვის ბ. ჟორდანიას, ურომლისოდ ჩვენი დეკლარაცია ვერ გამოვიდოდა იმ სახით, რომელიც იმასა აქვს“[5]

[4] ნოე ჟორდანია. ჩემი წარსული. მოგონებანი. თბილისი, გამომცემლობა „სარანგი“, 1990, გვ.89-90.

[5] გიორგი გვაზავა. საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (წერილი მეორე). პარიზი, 1928, გვ.7.

დამოუკიდებლობის აქტის პროექტზე მუშაობისას ნოე ჟორდანიას პოზიციას შემდგომში განსაკუთრებით აფასებს პ. სარჯველაძე. მისი თქმით, „საყურადღებოა და საინტერესო სიფრთხილე და წინდახედულება ნ. ჟორდანიასი“.[6]

პ. სარჯველაძე თავის ნაშრომში იმეორებს ნოე ჟორდანიას სიტყვებს დამოუკიდებლობის აქტის პროექტიდან „კლასიური ხასიათის მუხლების“ ამოღების და „ნაციონალური და პოლიტიკური ხასიათის“ მუხლების დატოვების შესახებ და აღნიშნავს: „ნ. ჟორდანიას ზომიერება ნაკარნახევი იყო ერის მთლიანობის დაცვით, - რის შედეგად შესაძლებელი იქნებოდა ერის ყველა ნაწილების სახელმწიფო-სააღმშენებლო მუშაობაში ჩაბმა“ .[7]

ეროვნული საბჭოს მიერ შექმნილი დამოუკიდებლობის აქტის შემმუშავებელი კომისია ინტერპარტიული იყო. მასში შედიოდნენ: გიორგი გვაზავა (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია), იოსებ მაჭავარიანი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია), გრიგოლ რცხილაძე (სოციალის-ფედერალისტთა პარტია), პეტრე ქავთარაძე (სოციალ-დემოკრატიული პარტია, „ალიონის“ ჯგუფი), ვიქტორ (ბიქტორ) თევზაია (სოციალ-დემოკრატიული პარტია), რაჟდენ არსენიძე (სოციალ-დემოკრატიული პარტია), ირაკლი (სავარაუოდ სერგი) ჯაფარიძე (სოციალ-დემოკრატიული პარტია).

ეროვნული საბჭოს მიერ შექმნილ დამოუკიდებლობის აქტის შემმუშავებელ კომისიაში, სოციალ-დემოკრატები უმრავლესობაში იყვნენ და, როგორც ჩანს, სერიოზული დაპირისპირება იყო სოციალ-დემოკრატებსა და ეროვნულ დემოკრატებს შორის. ამაზე მეტყველებს გიორგი გვაზავას მიერ ნახსენები დამოუკიდებლობის აქტის ორი პროექტის (სოციალ-დემოკრატების და ეროვნულ-დემოკრატების) ნოე ჟორდანიასთვის წარდგენა. ეს დაპირისპირება,

[6] პ. სარჯველაძე. ნოე ჟორდანიას ხსოვნისათვის. დაბადების 100 წლისთავის გამო. პარიზი, 1968, გვ.26.

[7] პ. სარჯველაძე. ნოე ჟორდანიას ხსოვნისათვის. დაბადების 100 წლისთავის გამო. პარიზი, 1968, გვ.27.

უნდა ვიფიქროთ, რომ ნოე ჟორდანიას მიერ დამოუკიდებლობის აქტის პროექტიდან „კლასიური ხასიათის მუხლების“ ამოღების შემდეგაც არ შეწყვეტილა.

საქართველოს ეროვნული საბჭო დამოუკიდებლობის გამოცხადებას 1918 წლის 25 მაისს აპირებდა, მაგრამ ამის გაკეთება ვერ მოხერხდა და ამის მიზეზი იყო ის, რომ არ იყო დამთავრებული მუშაობა დამოუკიდებლობის აქტის პროექტზე.

დამოუკიდებლობის აქტის შემმუშავებელ კომისიაში მიმდინარე დაძაბული ბრძოლის შესახებ შეიძლება დავიმოწმოთ შალვა ამირეჯიბის (1883-1943) მოგონება. შალვა ამირეჯიბი დამოუკიდებლობის აქტის შემმუშავებელი კომისიის წევრი არ ყოფილა, მაგრამ თავის მოგონებებში გადმოსცემს შეხვედრას 1918 წლის 26 მაისს დილით პეტრე ქავთარაძესთან (1883-1941), რომელიც 1918 წლის მაისის დღეებში დამოუკიდებლობის აქტის შემუშავებაში მონაწილეობდა. პეტრე ქავთარაძის სიტყვებიდან კარგად ჩანს, თუ რა დაძაბული მუშაობა მიმდინარეობდა დამოუკიდებლობის აქტის ტექსტზე.

შალვა ამირეჯიბი პეტრე ქავთარაძეს შეხვდა რუსთაველზე, სასტუმრო „ორიენტთან“ (ბოლოს იქ იყო მხატვრის სახლი, რომელიც 1991 წლის დეკემბერში დაიწვა ე. წ. თბილისის ომის დროს). შალვა ამირეჯიბი იგონებს: „ის (პეტრე ქავთარაძე) იყო ეროვნულ საბჭოს იურიდიული კომისიის წევრი, რომელსაც დამოუკიდებლობის აქტის შედგენა ჰქონდა მინდობილი და იღლიაში პორტფელ გარჭობილი სადღაც მირბოდა.

- რაო, თქვენი აქტი? ვკითხე ჩემს ძველ მეგობარს.

- აქა მაქვს! მომიგო მან და პორტფელი მანიშნა.

- ისტორიული პორტფელი! ისტორიული კაცი! ისტორიული აქტი-მეთქი! გავიფიქრე მე, მაგრამ გამოირკვა, რომ აქტი ჯერ კიდევ შედგენილი არ იყო.

- ჯერ მზად არ არის. მივრბივარ კომისიის სხდომაზედ, რომ უკანასკნელი რედაქცია ჩამოვწეროთ - დაუმატა მან.

- მაშ, სეიმის სხდომაზედ შევხვდებით?

- არა მგონია, ღმერთმა ქმნას პარლამენტის გახსნას დროზედ მიუსწროთ.

- განა აქტი ასე გრძელია?

- პირიქით, სულ ხუთი-ექვსი მუხლისაგან შესდგება. მაგრამ კომისიაში ბევრს ლაპარაკობენ. გვიბათილებენ ისეთ ძირითად დებულებებს, რომ ნახავ, ვერც აქტი გამოვა რიგიანი და პარლამენტის გახსნაზედაც უსადილო მოვალ. ამ აქტის „ზოგიერთ“ დებულებათა გამბათილებელი იგივე „რევოლუციონური დემოკრატიის“ წარმომადგენლები იყვნენ“ (შალვა ამირეჯიბი. წიგნი მეორე. თბილისი, 1998, გვ.121).

შალვა ამირეჯიბი მონარქისტი იყო და მიაჩნდა, რომ დამოუკიდებელი საქართველო რესპუბლიკა კი არა, მონარქია უნდა ყოფილიყო

შალვა ამირეჯიბსა და პეტრე ქავთარაძის დიალოგში ნახსენები სეიმის სხდომა ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომაა, რომელიც 1918 წლის 26 მაისს დილით გაიმართა, პარლამენტის სხდომაში კი იგულისხმება საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელიც იმავე დღეს საღამოს 17 საათზე შედგა და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი გამოაცხადეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავების თაობაზე ყველაზე გვიანდელი მოგონება რაჟდენ არსენიძეს ეკუთვნის. მისი თქმით, 1918 წლის 25 მაისს ეროვნულმა საბჭომ გამოყო საკანონმდებლო კომისია, რომელსაც დაავალა დამოუკიდებლობის აქტის პროექტის დამუშავება.

რაჟდენ არსენიძის თქმით, „ეს კომისია შეიკრიბა იმავე დღეს. ნაშუადღევს დავიწყეთ მუშაობა. ვჩქარობთ, რადგან ხვალ ეროვნული საბჭოს სხდომაა, რომელმაც თავს იდვა ამ ისტორიული აქტის შესრულება. ვჩქარობთ, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ აქტი არ იყოს მოფიქრებული, სერიოზული, ღირსი თავის დიად დანიშნულების; უნდა აღინიშნოს ხომ უფლებები ახალ დაბადებული

მოქალაქის; უყურადღებოთ ვერ დავტოვებთ იმ ეროვნულ უმცირე-სობათა უფლებებს, რომელნიც ჩვენი ტერიტორიის ფარგლებში ცხოვრობენ. და ყოველივე ეს უნდა ითქვას მოკლედ, მოჭრით, მკაფიოდ. ამიტომ თვითეული სიტყვა იწვევს დავას, კამათს, აზრთა შეჯახებას; ყოველი ფრაზა ყალიბდება დიდი გულმოდგინებით. ბოლოს ბრძოლა და ჯახი თავდება მორიგებით, ერთსულოვნებით; რაც მიღებულია - მიღებულია ყველასაგან. განხეთქილებას და გულნაკლულობას აქ, ამ დიად გადამწყვეტ მომენტში“

რაჟდენ არსენიძის თქმით, კომისიის მუშაობა 25 მაისს დიდ-ხანს გაგრძელდა: „შეღამდა... ვერ დაგვისრულებია შრომა... ვიკრი-ბებით ნავახშმევს და ისევე ვმსჯელობთ, ისევ ტექსტის ყოველ აზრს ჩავკირკიტებთ; ხოლო ეროვნული საბჭოს ბიურო, მისი პრეზიდი-უმი, გვიცდის, ელის ჩვენგან შემუშავებულ პროექტს, რომ საბო-ლოო ტექსტი მიიღოს და ხვალ საბჭოს წინაშე წარადგინოს. შუა-ღამეზე ვათავებთ პროექტის დამუშავებას და მაშინვე ორი წევრი გიორგი გვაზავა და პავლე სარჯველაძე მიეშურებიან საბჭოს ბი-უროს სხდომაზე, რომ ამაღამვე დაამთავრონ ეს საშური, მაგრამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა. ნაშუაღამევს ბიურო იღებს ზოგიერთი შესწორებით საბოლოო რედაქციას და კვირას, 26 მაისს, იგი საჯაროთ ცხადდება სახალხოდ თეთრ დარბაზში“.[8]

თუ გიორგი გვაზავას მოგონებასთან შევაჯერებთ, უნდა ვი-ფიქროთ, რომ პავლე სარჯველაძემ დამოუკიდებლობის აქტის სო-ციალ-დემოკრატიული ვარიანტი წარადგინა, რასაც გვაზავა რაჟდენ არსენიძის ვარიანტს უწოდებდა.

რაჟდენ არსენიძის მოგონების მიხედვით დამოუკიდებლობის აქტის შემმუშავებელ კომისიის სხდომებზე ოქმების სახით გარ-

[8] რაჟდენ (მიშა) არსენიძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი. 25 მაისი, 1958 წელი, მიუნხენი.“ (კარლო ინასარიძე. პატარა „ოქროს ხანა“. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918-1921. რადიო-დოკუმენტაცია, მიუნხენი, 1984, გვ.76-78).

კვეული ჩანაწერები კეთდებოდა: „ვის სცალოდა იმ ჟამად კომისიის ოქმების შედგენაზე და მათ შემოწმებაზე ფიქრი და ზრუნვა! იწერებოდა კი, მაგრამ არ ვიცი, ინახება იგი სადმე თუ გადაყლაპა დროთა უკუღმართობამ. ამიტომ გაწვდით ამ ცნობებს. იმათგან, ვინც ამ აქტის, აწ ისტორიულ აქტად ქცეულის შედგენაში და გამოცხადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს და რომელთა სახელები მეხსიერებამ შემინახა, აღარავინ მეგულება ცოცხალთა შორის. თითქმის ყველა ჩვენს წინაპართა პანთეონს შეუერთდა“.[9]

სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის აქტის შემმუშავებელი კომისიის სხდომების ოქმები ჯერ-ჯერობით მიკვლეული არ არის, ან მართლაც აღარ არსებობს. ამდენად, მხოლოდ მოგონებების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ იმ იდეოლოგიურ ბრძოლაზე, რაც სოციალ-დემოკრატებსა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის მიმდინარეობდა. როგორც უკვე ითქვა, ეს დავა ნოე ჟორდანიამ გადაწყვიტა და დამოუკიდებლობის აქტიდან „კლასობრივი ხასიათის“, ანუ სოციალისტური მოთხოვნები ამოიღო და მხოლოდ საერთო-ეროვნული დატოვა.

ნოე ჟორდანიას პოზიცია პრაგმატული გათვლით იყო განპირობებული და რამდენიმე მიზეზი შეიძლება დავასახელოთ:

ა/ ეროვნული კონსოლიდაციის აუცილებლობა - ნოე ჟორდანიას სურდა, რომ დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად მიეღო ყველა პოლიტიკურ ძალას (სოციალ-დემოკრატებს, ეროვნულ-დემოკრატებს, სოციალისტ-ფედერალისტებს და სხვა). სოციალურ საკითხებს (განსაკუთრებით მიწის რეფორმას), მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატებისთვის მთავარი იყო, შეიძლება დაპირისპირება და განხეთქილება გამოეწვია ქვეყნისთვის კრიტიკულ ეტაპზე;

ბ/ აუცილებელი იყო მთავარზე კონცენტრირება - დამო-

[9]რაჟდენ (მიშა) არსენიძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი. 25 მაისი, 1958 წელი, მიუნხენი.“ (კარლო ინასარიძე. პატარა „ოქროს ხანა“. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918-1921. რადიო-დოკუმენტაცია, მიუნხენი, 1984, გვ.76-78).

უკიდებლობის გამოცხადების მომენტში მთავარი იყო სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გამოცხადება და საერთაშორისო აღიარების მიღწევა. საჭირო იყო ისეთი დოკუმენტის შექმნა, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოებრივი აღდგენის ფაქტს დააფიქსირებდა, ხოლო სოციალური რეფორმები შემდეგ ცალკე კანონმდებლობით იქნებოდა გატარებული;

გ/ საერთაშორისო აღიარების გაადვილება - ევროპული სახელმწიფოებისთვის პირველ რიგში სახელმწიფოს ფორმა იყო მნიშვნელოვანი და არა მის მიერ გატარებული სოციალური რეფორმების დეტალები.

ამრიგად, ნოე ჟორდანიას გადაწყვეტილება, დაეტოვებინა მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრინციპები, იყო პრაგმატული პოლიტიკური ნაბიჯი კრიტიკულ მომენტში ეროვნული ერთიანობისა და ახალი სახელმწიფოს მშენებლობის ინტერესებიდან გამომდინარე.

დასკვნა

სოციალ-დემოკრატები იზიარებდნენ ლიბერალური ნაციონალიზმის რიგ პრინციპებს (დემოკრატია, რესპუბლიკა, უფლებები), მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისგან განსხვავებით, მათთვის ეს პრინციპები სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ეტაპად იყო მიჩნეული. ეროვნულ-დემოკრატებისთვის კი, ეროვნული და ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა იყო საბოლოო მიზანი და არა როგორც მხოლოდ ეტაპი სოციალიზმისაკენ მიმავალ გზაზე. ამ საკითხში სოციალ-დემოკრატების და ეროვნულ-დემოკრატების ხედვა პრინციპულად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

სოციალ-დემოკრატიამ „ჩააცვა“ ლიბერალურ-ნაციონალისტური სამოსი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, რათა ეროვნული ერთობა უზრუნველეყო. სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის გავლენა თავად აქტში იგრძნობა არაპირდაპირ და

კონტექსტში. დამოუკიდებლობის აქტში სწორედ სოციალ-დემოკ-რატიული იდეოლოგიიდან მომდინარეობდა სამოქალაქო თანასწო-რობის სიღრმე, ის რომ აქტი მკაფიოდ უსვამდა ხაზს სოციალური მდგომარეობის მიუხედავად მოქალაქეთა თანასწორობას.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის აქტიდან ამო-ღებული იქნა „სოციალისტური დებულებები“, დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე შექმნილ რესპუბლიკის ფარგლებში დაუყოვ-ნებლივ განხორციელდა ცალკე კანონმდებლობით რადიკალური რეფორმები: მიწის რეფორმა (ნაციონალიზაცია და გლეხებისთვის განაწილება), შრომის კანონმდებლობა (8-საათიანი სამუშაო დღე) და ა. შ.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 8-საათიანი სა-მუშაო დღე კანონმდებლობით დადგინდა 1920 წლის 14 აგვისტოს, როდესაც დამფუძნებელმა კრებამ მიიღო „შრომის ხელშეკრულების შესახებ“ კანონი. რაც შეეხება აგრარულ რეფორმას, ის ეტაპობრივად ხორციელდებოდა: 1918-1919 წლებში მიმდინარეობდა მემამულე-ებისთვის ნორმის ზევით მიწების ჩამორთმევა (კონფისკაცია) და მათი გადაცემა სახელმწიფო საადგილმამულო ფონდში. 1919 წლის იანვარში მიიღეს კანონი, რომლის საფუძველზეც დაიწყო ჩამორ-თმეული მიწების შეღავათიან ფასებში მიყიდვა გლეხობისათვის, 1920 წელს კი გაუქმდა აკრძალვა მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ, რაც ასრულებდა რეფორმას. აგრარული რეფორმის მიზანი იყო სო-ციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი უმთავრესი დაპირების შესრულება, - გლეხებისთვის მიწის გადაცემა და ქვეყნის შიდა პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა.

რომ შევაჯამოთ, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, მი-ღებული 1918 წლის 26 მაისს, ლიბერალური ნაციონალიზმის გამო-ხატულება იყო: აცხადებდა ეროვნულ სუვერენიტეტს, ამკვიდრებ-და კლასიკურ ლიბერალურ უფლებებს, ადგენდა მომავალი სახელ-მწიფოს ფუძემდებლურ პრინციპებს.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციამ, რომელიც მმართ-

ველმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ შეიმუშავა, განავრცო და გააღრმავა დამოუკიდებლობის აქტის პრინციპები სოციალ-დემოკ-რატიული იდეოლოგიით: ა/ კონსტიტუცია გასცდა მხოლოდ პო-ლიტიკურ თავისუფლებებს და დაამკვიდრა სოციალური უფლე-ბები; ბ/ დეტალურად გაწერა შრომითი კანონმდებლობა; გ/ამკვიდ-რებდა ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას

ამგვარად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფუნდამენტური სამართლებრივი ბაზა იყო ჰიბრიდული: ის დაი-წყო ლიბერალურ-ნაციონალური დეკლარაციით (დამოუკიდებლო-ბის აქტით) და დაგვირგვინდა სოციალ-დემოკრატიული და პროგ-რესული საკონსტიტუციო ჩარჩოთი (კონსტიტუცია), რითაც შეიქ-მნა ევროპული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე მოწინა-ვე იურიდიული მოდელი.

ლიტერატურა

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი.

საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1921 წლის 21 თებერვალს.

გვაზავა გიორგი. საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (წერილი მეორე). პარიზი, 1928.

დანელია სერგი. ტერმინი „ეროვნული დემოკრატია“ - საქარ-თველო“, 1921 წლის 27 იანვარი, N 19, გვ.2

ინასარიძე კარლო. პატარა „ოქროს ხანა“. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918-1921. რადიო-დოკუმენტაცია, მიუნხენი, 1984.

ჟორდანია ნოე. ჩემი წარსული. მოგონებანი. თბილისი, გამომ-ცემლობა „სარანგი“, 1990.

სარჯველაძე პ. ნოე ჟორდანიას ხსოვნისათვის. დაბადების 100 წლისთავის გამო. პარიზი, 1968.

ხახანაშვილი ი. ჩვენი იდეოლოგიისთვის - „საქართველო, 15 აპრილი 1919, N 83.

Malkhaz Matsaberidze

The Act of Independence of Georgia: The Ideological Context

Abstract

The article discusses the ideological foundation of the Georgian Act of Independence of May 26, 1918. The Act of Independence was a political and legal document that not only declared Georgia's independence but also established the basic principles for the future state structure. This allows us to discuss the ideological context of the Georgian Act of Independence, that was a blend of liberal nationalism and Social Democratic ideology.

The Act of Independence was drafted by the two political forces: the Social Democrats and the National Democrats. National Democratic ideology was a form of liberal nationalism. The Act of Independence was based on the consensus of the political forces of the time, which was facilitated by the fact that the Social Democrats and the National Democrats agreed on the construction of a democratic state. This was also acceptable to the other socialist parties represented in the National Council of Georgia (Socialist-Federalists, Socialist-Revolutionaries).

For the National Democrats, building an independent democratic state was the ultimate goal, while the socialist parties planned transition to the "construction of socialism" in the future. Noe Zhordania, Chairman of the Executive Committee of the National Council and leader of the Georgian Social Democrats, removed the so-called "social (socialist) provisions" from the draft of Act of Independence, leaving only the "common national" principles. However, the influence of Social Democratic ideology is evident in a number of constitutional principles formulated in the Act of Independence. Overall, the Georgian Act of Independence represented a blend of liberal nationalism and Social Democratic ideology.

Keywords: Georgia, Georgian Act of Independence of May 26, 1918, political parties of Georgia, political ideologies.